# საქართველო

წლიწადი მეხუთე | პარასკევი, 12 ენკენისთვე 1919 წ. № 197 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:— თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73



მეუღლე მართა ტარიელოვისა, შვილი თამარა კოტეტიშვილისა სიძე შალვა კოტეტიშვილი შვილებით ალექსანდრეთი და ეთერათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი და ძვირფასი

ზურაბ იოსების ძე ტარუაშვილი

2-179-1

გულდამწვარი მშობლები დეკანოზი იოსებ წერეთელი და მეუღლე მისი ოლღა შვილებით და რძლებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი შვილის

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი სოფ. ცხრუკვეთის ეკლესიაზე და მიცვალებულის სასაფლაოზე ორშაბათს, 15 ენკენისთვეს (ახ. სტ.) დასაწყისი წირვისა დილის 11 საათზე. 2—2635—2

გაუბედურებული ისიდორე სოფრომის ძე ვარაზაშვილი და შვილები მისი თამარი და სოსიკო აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ მათი უძვირფასესის ცოლის და დედის

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი სოფ. ცხრუკვეთის ეკლესიაზე და მიცვალებულის საფლავზე ორშაბათს, 15 ენკენისთვეს (ახ. სტ.) წირვის დასაწყისი დილის 11 საათზე. 2—2635—2

კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო სააქციო საზოგადოების

„საქართველო“-ს

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ ამით აცხადებენ დამფუძნებელნი, რომ აქციებზე ხელის-მოწერის უკანასკნელი ვადა

ოთხი ოქტომბერია

ამ რიცხვისათვის ყოველი საორგანიზაციო კომიტეტები ვალდებულია გამოგზავნოს მთავარი მართველის სახელზე დაწვრილებითი სია აქციონერებისა მისამართითურთ და ანგარიშები სად რამდენი აქცია შეიძინეს და ადგილობრივი ბანკის მოწმობა, რომ წესდების მე-8 § ის მოთხოვნილებისამებრ ფული შეტანილია და ინახება ბანკში, თანხის აღნიშვნით.

დამფუძნებელთა მინდობილებით საქმეთა მთავარი მართველი ტიტე მარგველაშვილი ბელინსკის ქ., 21, თბილისი. 3—176—1

კოოპერატივ „დახმარება“-ს წევრთა საყურადღებოთ

მიღებულია საუკეთესო **კართოფილი**

იყიდება ორთავ განყოფილებაში

3—177—1

ქართული კლუბი

კვირას, 14 ენკენისთვეს ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ

გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა

დიდი სეირნობა და კონცერტი

20 ენკენისთვეს ქ. სურამში

იხსნება უმაღლესი პირველ დაწყებითი ოთხ კლასიანი სასწავლებელი ვაჟებისა და ქალებისათვის,

რომელიც უდრის გიმნაზიის პირველ 4 კლასს. სწავლა ქართულ ენაზე.

სწავლის ფასი ნახევარ წელიწადში 200-300 მანეთი.

თხოვნები მიიღება 19 ენკენისთვემდე, სასწავლებლის გამგის სახელზე: სურამის ქალაქის თვითმართველობაში.

სომეხ მოწაფეებისათვის სავალდებულოა სომხური ენა და სომხეთის ისტორია

2—175—2

ვანო ბერძნიშვილის ფეხსაცმლის სახელოსნო

მუშაობა განაახლა. ვიღებ ყოველნაირ შეკვეთას სრული პასუხისმგებლობით. წყნეთის ქუჩა, № 28. ვანო ბერძნიშვილი.

ყიდულობს, ჰყიდის იღებს საკომისიოდ პროცენტებით და უპროცენტოდ აძლევს ავანსად მიღებულ საგნებში შემფასებელთ **ყველაფერს**

თბილისში პირველი საკომისიო მაღაზია **ყველაფერი**

მიხეილის პრ. № 142 კინო-პალასის პირდაპირ.

ნივთების მოტანა და შეფასება სრულიად უსასყიდლოდ.

საჭიროა ტანისამოსი ფეხსაცმელები ფართლეულობა ჩულქები საცვლები ჭურჭელი ხალიჩები ავეჯეულობა. ძვირფასი საგნები.

ჩვენი დევიზი: ნდობის დამსახურება ჩვენს კლიენტებში. 10—7


# მოწოდება

## საქართველოს ვაჭარ-მრეწველთ

ვაჭარ-მრეწველნო! ჩვენი ვაჭრობა და მრეწველობა განსაკუთრებულ ხანას განიცდის. ყოველი საჭირო საქონელი უცხოეთიდან ჩვენში რამოდენიმე ათეულ თუ ასეულ შუამავლის ხელიდან შემოდის, რაც საქონელს ძალზე აძვირებს. საქონელი შემოაქვთ გემებით, რაც საშუალებას უსპობს ყოველ კერძო მწარმოებელს პირდაპირ ფაბრიკანტებიდან თვითონვე შეიძინოს საქონლის საჭირო უფრო მეტი რაოდენობა. ამით სარგებლობენ უცხო ელემენტები და ლამობენ ხელში ჩაიგდონ მთელი ჩვენი ალებ-მიცემობა; ამას ადვილათ აღწევენ, რადგან ისინი ორგანიზაციულათ მოწყობილი და სააქციო საზოგადოებებში და ძლიერ ამხანაგობებში ვაჭრულათ შეკავშირებული არიან. თუ არსებულმა ვითარებამ კიდევ დიდ ხანს გასტანა და ჩვენი ვაჭრები დაქსაქსული დარჩენ, საუკეთესო და უდიდესი ნაწილი ჩვენი ალებ-მიცემობისა ჩვენ მოქიშპეთა ხელში გადავა და ჩვენივე შინაურ ბაზარზე სრულიათ უცხონი გაგვიბატონდებიან.

ამისათვის დაიწყეს ქუთაისის ვაჭრებმა შეკავშირება და სავაჭრო სამრეწველო სააქციო საზოგადოების „საქართველოს“ შედგენა. ჩვენ დიდის სიხარულით ვეგებებით ამ თაოსნობას და საჭიროთ მიგვაჩნია რაც შეიძლება დროზე დავასრულოთ მოწყობა ამ საზოგადოებისა, რომელიც, მთავრობის მიერ მოწონებულია და ხელს შეუწყობს:

1. ევროპა ამერიკის ფაბრიკანტებთან კავშირის დაჭერით საქონლის იაფათ შეძენას და პირდაპირ ჩვენს ბაზარზე გამოტანას, რაც საქონელსაც გააიაფებს და მოგებასაც მეტს დაუტოვებს ჩვენს მწარმოებელს. რადგანაც ჩამოაშორებს მას ურიცხვ უცხო შუამავლებს. აგრეთვე სარგებლობას მოუტანს იგი ჩვენს მწარმოებელს ჩვენი ქვეყნიდან ჩვენი საქონლის პირდაპირ, უშუამავლოთ ევროპა-ამერიკის ბაზარზე გატანით და ნამდვილი ბაზრის ფასებში ადვილათ გასაღებით.
2. ჩვენივე თვითმოქმედებას გაღვიძებით და კომერციულ საქმეთა ენერგიულათ წარმოებით გააუმჯობესებს ჩვენი ფულის ტრიალის საქმეს როგორც ჩვენში, ისე საზღვარ-გარეთაც.
3. შეიქნება ძლიერი კომერციული ფირმა, რომელიც განავითარებს ჩვენში ევროპიულად მოწყობილსა და ევროპიულ ტეხნიკით წარმოებულ კომერციას, რაც გააადვილებს ყველა ჩვენ ვაჭარს უცხოელებთან ურთიერთობას.

დროა, ქართველობამ თავისი საქმიანობის უნარი და სიფხიზლე განსაკუთრებით უცხოელებთან, ევროპის ხალხებთან კომერციულ დამოკიდებულებათა განვითარებას მოახმაროს. განსხვავება უცხოელებსა და ჩვენს შორის ისაა, რომ ისინი იმ თავითვე ევროპის განვითარების ფერხულში მოყოლილი, გაცილებით უფრო ადრე შეუდგნენ მომზადებას და თავიანთი კაპიტალის ორგანიზაციულათ მოწყობას ჩვენ გვაკლია მათთან შედარებით ჩვენი კაპიტალის, ჩვენი ფულის ორგანიზაციულათ, სისტემით მოხმარება. მაგრამ ეხლა ჩვენ უკვე შევუდექით ორგანიზაციის მოწყობას სააქციო საზოგადოების სახით.

ყველა კუთხეში ვაჭარ-მრეწველთა მიერ შედგენილია საორგანიზაციო კომიტეტები, რომელნიც ვალდებული არიან ვაჭრების ფართე კრებას აუხსნან და განუმარტონ დიდი მნიშვნელობა კაპიტალის ორგანიზაციის აუცილებლობისა.

ყველაფერი მზათ არის: აქციებზე ხელის მოწერა წარმოებს ვაჭრებმა და მრეწველებმა კიდევ მეტი ხალისი და თანაგრძნობა უნდა გამოიჩინონ, რომ პირველივე ხელის მოწერით შესაძლო გახდეს ძირითადი თანხის კიდევ უფრო გადიდება, რომ ჩვენი ვაჭარ-მრეწველთა მიერ შექმნილი ეს ახალი საქმე ძლიერი იქნეს თავის კაპიტალით, წარმოებით და იმ დახმარებით, რომელსაც იგი გაუწევს თავის აქციონერებს.

ჩვენ მთელი ჩვენი არსებით მხარს უჭერთ ამ ახალს თაოსნობას და მოუწოდებთ ყველა პუნქტების ვაჭარ-მრეწველთ მხურვალე და ენერგიული მონაწილეობა მიიღონ ამ ახალს სავაჭრო სამრეწველო სააქციო საზოგადოებაში.

თბილისის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები: ი. კვიზერელი—კოპანი, ნ. ჯაყელი, ი. დადიანი, ე. ქავჭანიძე, ნ. სიხარულიძე, დ. კალანდაძე და ა. ქორქია.

ყოველგვარი შეკითხვები უნდა მიიმართოს ტ. მარგველაშვილს, ბელინსკის ქ. № 21. თბილისში. 4—6—2

## ინგლისის ჯარების წასვლა

ბრიტანეთის ჯარებმა სრულიად მოულოდნელად დასტოვეს ჩვენი სახელმწიფოს საზღვრები. მართალია, ზაფხულის დასაწყისშივე ამბობდნენ მათ მიერ ამიერ-კავკასიის დაცლის შესაძლებლობაზე, მაგრამ სხვა და სხვა მოსაზრებით ჯარები აქ დარჩნენ და უკანასკნელ დროს არც ველოდით მათ წასვლას.

ამიერ კავკასიის რესპუბლიკების გამოურკვეველი მდგომარეობა, მათ შორის წინააღმდეგობათა არსებობა და ძირითადი შეუთანხმებლობა სახელმწიფო საზღვრების საკითხში, გარდა ამისა ჩრდილოეთისა და ნაწილობრივ სამხრეთის მოუშორებელი საფრთხე, ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებს წალეკას რომ უმზადებს, ყველა ეს მოვლენანი საჭიროდ ხდიდნენ ევროპის რომელსამე დიდ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალების აქ ყოფნას წესიერებისა და მყუდროების დასაცავად.

გაბატონებულ პარტიის გაზეთებში თუმცა ბოლო დღეებში სწერენ, რომ ბოლოს და ბოლოს უმჯობესია საკუთარ ძალებზე დაყრდნობა და მათ მიერხებით მოწესრიგება როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებისა, მაგრამ მეტი რა დაგვრჩენია, რომ ასე ოპტიმისტურად არ ავმღერდეთ!

ვიცით წინდაწინვე, რომ „ერთობის“ პუბლიცისტები ერთხელ კიდევ დაგვწამებენ „უცხო ძალების“ ჩვენს საქმეებში ჩარევის სურვილს და ქართველი ნაციონალისტების მიერ საქართველოს სუვერენიტეტის შერყევას, მაგრამ ეროვნულ იდეის იმ თავითვე განმტკიცებისათვის მომუშავეთ არ უნდა გვაშინებდეს ისეთი კატეგორიის ადამიანების საყვედური და ცილისწამება, რომელნიც „საკუთარ ძალებზე“ დაყრდნობას წელიწად ნახევარი ეწევიან და ისიც პირობით, თუ დამოუკიდებელი საქართველო სოციალისტური უფრო კი სოციალდემოკრატიული იქნება კვლავაც მთლიან რუსეთის დარღვევის გამო ნიანგის ცრემლთა მფრქვეველნი ჩვენ გვიკიჟინებენ დამოუკიდებელ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებას და უცხო ძალების შემწეობით ამა თუ იმ საკითხის გადაჭრას.

უცხო ძალების შეწევნით თუ უიმათოთ სოციალ-დემოკრატები ისე ვერ გადასჭრიან მაინც ჩვენს სახელმწიფოებრივ საკითხებს, რომ ქართველი ხალხის ეროვნული სინიდისი დაკმაყოფილდეს და რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესი დაცულ იქნეს...

არ შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის ჯარები ჩვენს ტერიტორიას სცლიდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის ხელსაყრელ პირობებში. „ევროპის კულტურულ ძალების“ საქართველოში დარჩენისათვის „ერთობა“ არც ისე დიდიხანია მგზნებარე წერილებს ათავსებდა, ხოლო მთავრობა დაჟინებით სთხოვდა ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდალს ჯერ ხნობით სისრულეში არ მოეყვანა ინგლისის ცენტრალურ მთავრობის გადაწყვეტილება ჯარების ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან გაყვანის შესახებ.

როდესაც ჩვენ უკვე მომხდარ ფაქტის წინაშე დავდექით და ინგლისის უკანასკნელი ეშელონი განმზადებულია წასასვლელად, მმართველ წრეებში „საკუთარ ძალებზე დაყრდნობას“ ჰქადაგებენ და ამ სახით ლამობენ მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებას ყველა სადავო საკითხებში და საზღვრების ამოხაზვაც ასე ჰსურთ!

ამას წინად შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა ერთ მეზობელ სახელმწიფოს სპეციფიური მიდრეკილება თვის მოწყობისა და მეზობლებთან ურთიერთობის დამყარებაში, დავიმოწმეთ მრავალი ფაქტი ამ სახელმწიფოს მმართველთა შეუტანლობისა და შეურიგებლობის დასამტკიცებლად და რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შემდგომში შესაძლებელი იქნება ამ სახელმწიფოსთან „საკუთარ ძალებზე დაყრდნობით“ მორიგება.

რამდენადაც მწვავე ფიქრები დაებადა ჩვენში ინგლისის ჯარების აქ ყოფნის პირველ პერიოდში, იმდენად სასიხარულო და გამამხნევებელი შეიქმნა მათი საქართველოში ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი, როცა სარდლობა და ჯარი ადგილობრივ დარწმუნდა ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში და ქართველ ერში ჰპოვა გულწრფელი მეგობარი ევროპის კულტურისა და კერძოდ ინგლისის სახელმწიფოებრიობისა. ესოდენ ხნის განმავლობაში საქართველოში ყოფნამ ინგლისის სარდლობას ისე შეაცვლევინა შეხედულება, რომ ეჭვით შეპყრობილნი აქ მოსვლისას, გულითად მეგობრებად გვეთხოვებიან შორეულ ქვეყანაში მიმავალნი.

ან რა უნდა ჰქონოდათ საქართველოს საწინააღმდეგო დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს? სინამდვილემ სულ მალე დაანახვა სარდლობას, რომ საზიზღარ ცილისწამებას ახვევდნენ ქართველობას ათასი ჯურის მტრები, როდესაც გერმანიის ჯარების აქ ყოფნის საქართველოს „ორიენტაციას“ აჩვენებდნენ ანტანტის ხელმძღვანელებს. საქართველოს მტრები დაჯერებულნი იყვნენ, რომ გერმანიის განადგურების შემდეგ ქართველი ხალხი „წიხლის კვრით“ გააცილებდა დარბეულ სახელმწიფოს ლაშქარს, მაგრამ მოსტყუვდნენ გალაღებული მტრები: ოსმალეთის განადგურებისგან მხსნელთ ქართველი ხალხის მიერ მხოლოდ მადლობა და უღრესი პატივისცემა ჰქონდათ დამსახურებული...

ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა ფაქტიურ მდგომარეობის გაცნობა—ყოველმხრივი და პირუთვნელი—საკმარისი იყო, რომ ინგლისის სარდლობა ნდობით და პატივისცემით მოპყრობოდა საქართველოს აღდგენილ სახელმწიფოებრიობას.

პოლიტიკური მისიის გამოგზავნა განათლებულ და საქართველოს ნაცად მეგობრის მისტერ ოლივერ უორდროპის ხელმძღვანელობით ნათლად გვიჩვენებს ინგლისის ხელმძღვანელთა აზრს ჩვენს პოლიტიკასა და სუვერენობაზე.

ჯარი მიდის სამშობლოში, ხოლო კავშირი ინგლისთან ამიერიდან განუწყვეტელი იქნება.

## ვაჭრობა-მრეწველობისათვის

ევროპის სახელმწიფოები და ერები ბუნებრივად, თითქმის სტიქიურად მიილტვიან ცხოვრების ნორმალ კალაპოტში ჩაყენებისაკენ და მშვიდობიან მუშაობისათვის საჭირო პირობების დამყარებისაკენ. ეხლა იწყება ხანა მშვიდობიანისა, მაგრამ მით უფრო დაუნდობელ, ქიშპობა-შეჯიბრებისა. რაც დაიკარგა ომის წარმოებაში უნდა ანაზღაურდეს მშვიდობიან შრომით და ეკონომიურ კონკურენციით. გზების გახსნით ამერიკა ჰპოულობს ფართო შესაძლებლობას თავისი ინდუსტრიალისა თუ სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები მსოფლიო ბაზარზე ერთბაშად მიაყაროს ტიტანიურ ტრანსპორტების საშუალებით. ომამდისაც იგი ცნობილია როგორც უძლიერესი მეტალურგისტი მთელს მსოფლიოში. იგი ამზადებდა 27000.000 ტონა მეტალურგიულ ნაწარმოებთ. მას მხოლოდ გერმანია უწევდა კონკურენციას, რომელიც იმავ 1910 წ. 14000000 ტონა მეტალურგიულ ნაწარმოებს აწვდიდა მსოფლიო ბაზარს. ის ქვეყანა-კი, რომელსაც 1860 წლიდან პირველი ადგილი ეჭირა ამ მრეწველობის მსოფლიო წარმოებაში ინგლისი ჩამოქვეითებულ იყო მესამე რანგზე და მხოლოთ 10.200.000 ტონას ამზადებდა ომის წინა წლებში, მას მისდევდა საფრანგეთი, რუსეთი, ავსტრო. უნგრეთი და სხვ. სართავ-საქსოვი მრეწველობაც, ქიმიური და სხ. დარგებიც დაახლოვებით იმავე სურათს წარმოადგენდენ. ომმა ერთბაშათ უდიდესი ცვლილება შეიტანა ეკონომიურ ძალთა ურთიერთობაში. ნედლი მასალით სავსებით უზრუნველყოფილი ამერიკა, შედარებით დაცული ინგლისი, სრულიად განადგურებული საფრანგეთი, რუსეთი ბელგია, დასუსტებულ, პოლიტიკურათ, მაგრამ დაცული, ქარხნებისა და მწარმოებელ ძალთა დაუზიანებლად, გერმანია და ავსტრია გაცილებით მეტის სიბასრით და დაუზოგველობით დაეჯახებიან ერთმანეთს საგარეო ვაჭრობასა და ყოველგვარ სამრეწველო დარგებში. ევროპის ყველა ქვეყნები უაღრესათ მოწყობილი, ორგანიზაციულათ დარაზმული არიან როგორც წარმოების ისე ვაჭრობის მხრივაც. აქციონერული საზოგადოებები, მრავალგვარი დიდი ხნის ამხანაგობები, ტრესტები, სინგები, სატრანსპორტო მოწყობილობანი, ბანკების ოპერაციათა მიზან შეწონილი და ყველასათვის, ყოველ წვრიმანისათვის წინდახედული წარმოება, ერთი სიტყვით კომერციული ტეხნიკა მიუწდომელათ განვითარებული აქვთ. აი, ამ კომერციულათ ძლიერთა და მოწყობილ სახელმწიფოთა რგოლში მოვყევით ჩვენც, ჩვენი ვაჭრობა და მწარმოებელნი, რომელნიც სრულათ მოუმზადებელნი არიან ფართო ევროპიულათ მოწყობილ კომერციულ ოპერაციებისათვის და არც არავითარი ორგანიზაცია არა აქვთ. მთელი შვიდი - რვა თვე გადის და ჩვენი ვაჭარ-მრეწველნი კიდევ ძველებურათ „ხურჯინებით“ ვაჭრობას ეწევიან. პატარ პატარა პარტიებით საქონლის შეძენა ბათუმ-კონსტანტინეპოლში შუამავალ ბერძენ თუ სომხისა და თათრის საშუალებით. ჩვენი საგარეო ვაჭრობა ამით ხელში უვარდება სავსებით უცხო მესამე და მეათე პირთ. თუ დროზე ამ გარემოებას არ შემოვუარეთ ჩვენ მოგველის სამარცხვინო როლი სხვათა ნოქრობისა ჩვენსავე ქვეყანაში. საქართველოში სულ მცირე 4000000 მომხმარებელი მაინც იქნება მკვიდრი და უცხოელი რომ ერთად ვიანგარიშოთ. თითოეულ მათგანს 10 არშინი ფართალი მაინც დაჭირდება, რაც შეადგენს ორმოც მილიონ არშინს. საქართველოზე გადის მთელი ამიერ-კავკასიის მომხმარებელთა დასაკმაყოფილებლათ იგივე საქონელი. ამიერ კავკასიაში სულ მცირე ხუთჯერ მეტი მომხმარებელი იქნება (ჩრდილო კავკასიითურთ) ვიდრე საქართ-

# უკანასკნელი ცნობები

ესტონელების წინადადებით საბჭოთა რუსეთის და ესტონეთს შორის საზავო მოლაპარაკება რამდენიმე ხანით გადაიდო.

ლიტვა ხალხთა ლიგაში შესასვლელად ემზადება.

საზავო ხელშეკრულებისათვის გუშინ წინ ხელი უნდა მოეწერათ.

პარიზში კინემატოგრაფების გაფიცვა გრძელდება.

სერბიელები შავმთიელებს ავიწროვებენ.

ბოლშევიკებმა სამხრეთით ჩესნოვკა, ტეტკინო და ხოლოდნიკი აიღო.

---

ვ ლოში. მათთვის სულ მცირე ორასი მილიონი არშინი ფართალი იქნება საჭირო წლიურად, რაც ეხლანდელ პირობებში არშინზე minimum ერთი მანეთის მოგებით მთელს ორას მილი-

... ვსა და პოლიტიკურ მიმდინარე ცხოვრებას, ვალდებულია არ მისცეს თავი არც ბავშურ ბუტიაობას, არც ბოროტ გულ ღვარძლიანობას, არამედ სრულს დამშვიდებით და ს...ლი შეგნე-

...

დღე და ღამის გაერთიანებულ მუშაობით. კეთილი მუშაობა კი მიუცილებლათ დაფასდება მას ს სურველი შედეგები მოყვება არა მარტო მომავალში არამედ აწმყოშიაც.

ტიტე მარგველაშვილი.

# საქართველო-სომხეთის შეთანხმება

**თბილისი.** ენკენისთვის 11. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო საინფორმაციო განყოფილებისაგან;

ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონიდან ინგლისელების ჯარის ევაკუაციის გამო 29 და 30 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის კ. საბახტარაშვილის თავმჯდომარეობით და ბრიტანეთის სარდლობის წარმომადგენლის მიანაწილეობით შესდგა თათ-

...

ნისტრის ამხანაგს სარდალ გედევანიშვილს და სომხეთის სამხედრო წარმომადგენელს სარდალს ქიშმიშევს.

ნეიტრალური ზონა ინგლისის კომისარს დაუყონებლივ უნდა ეს დადგენილებები ადგილობრივ მცხოვრებთა და ადმინისტრაციის მოხელეთა საცნობად და გამოსაქვეყნებლად, რათა ბოლო მოეღოს ყოველნაირ მითქმა მოთქმას, და ჭორებს, რომელსაც ავრცელებენ ბრიტანეთის ჯარის ამიერ-კავკასიიდან გასვლის გამო. ეს დადგენილებები გადაეცა აგრეთვე საქართველოს წარმომადგენელს ერევანში ბ-ნ მახარაძეს, რომლის მოადგილესაგან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო შემდეგი დეპეშა: „ჩემი მიმართვის საპასუხოდ. სომხეთის საგარეო საქმ თა მინისტრმა სექტემბრის 2-ს მომწერა, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს და სომხეთის მთავ-

...

ნულ დადგენილების სისწორით სისრულეში მოყვანას". საქართველოს საგარეო სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება.

# რაუტი ნ. უსუბ-ბეკოვის პატივსაცემად

10 ენკენისთვეს ქართულ კლუბში თბილისში სტუმრად მიბრძანებულ აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომ-

...

შეუწყო აჭარის საკითხის კეთილათ დაგვირგვინებას. ამ ჟამათ აჭარლებს სრულიათ თავისუფლათ შეუძლიათ თვითგამორკვევა და ისინი ღრმათ უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მათი მოქცევა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მტკიცდება როგორც თავისუფალი ნებისყოფა საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობრულ კავშირით. მე ვსვამ სადღეგრძელოს მეგობარ ძმურ ქართველ ერის აღყვავებისა და პროგრესისა საქარ-

...

ბებში — აი, ღლიური ამოცანა, პირველი კატეგორიული იმპერატივი ახლად შექმნილ ეკონომიურ პირობებისა; ის ჩვენი ინტელიგენცია, რომელიც რევოლიუციის ჩვეულებრივი ლოლიკით განზე დაურჩა ჩვენი სახელმწიფოებრი-

# ანატოლ ფრანსის სიტყვა

**საფრანგეთის მასწავლ. პროფ. კავშირის ყრილობაზე ქ. ტურში**

6 მარიამობისთვეს ქ. ტურში საფრანგეთის მასწავლებელთა პროფესიონალ კავშირის კრებაზე დებატებში მონაწილეობას იღებდა ანატოლ ფრანსი, რომლის სიტყვას ვბეჭდავთ 9 მარიამობისთვის გაზ. „ჰუმანიტედან".

„მოქალაქენო, ძვირფასო მეგობრე-

...

მშვენივრებას: ასე შეამზადებენ მათ ომის პროფესიისათვის. და სანამ არსებობენ ჯარისკაცები, იქნება ომებიც და ჩვენმა დიპლომატებმა მისთვის დაუტოვეს გერმანელებს ჯარისკაცები, რომ ჰქონდეთ შესაძლებლობა თვი-

...

რა მას ყველაზედ, ვინც კი მას არა ჰგავს". არის მსგავსი ადამიანები! ვისურვებდი მათს აღგვას სრულებით პირიდან დედამიწისა. მე არა მაქვს სიძულვილი არაფრისადმი, როგორც სიძულვილისადმი!

# ქრონიკა

✦ **დარბაზში.** ენკენისთვის 9-ს პაპის ვიზიტატორთან კათოლიკოზის სახელით სადარბაზოდ იყვნენ საკათალიკოსო საბჭოს წევრნი დეკ. კორნ. კეკელიძე, კალისტრატე ცინცაძე და სიონის კანდელაკი დეკ. კაპანაძე.

✦ **ამერიკელ მისიის წევრთ.** 10 ენკენისთვეს ქართულ კლუბის ბაღში ვახშამი გაუმართეს. სუფრას დასწრია დ. დ. ღამბაშიძე.

✦ **აჭარელთა და ბათომელთა დელეგაციებს** 10 ენკენისთვეს ქართულ კლუბის ბაღში გაუმართეს გამოსათხოვარი ვახშამი. ვახშმის დროს დაილია სადღეგრძელო აჭარის, რომელიც შემოუერთდა საქართველოს. ვახშამმა მეტად მხიარულათ ჩაიარა.

✦ **პაპის ლეგატი** 10 ენკენ. ნაშუადღევის 1 საათზე მთავრობის თავმჯდომარესთა სადარბაზოდ ბრძანდებოდა პაპის ლეგატი ვიზიტატორი დელფიუში, რომელმაც ნახევარ საათიდ დაჰყო.

✦ **გენ. ბიჩი** ამავე დღეს მთავრობის თავმჯდომარესთან ნაშუადღევის 2 საათზე სადარბაზოდ წარსდგა გენ. ბიჩი.

✦ **საგარეო საქმეთა მინისტრთან** გენ. დენონანკური 10 ენკენისთვეს საგარეო საქმეთა მინისტრს წარუდგა საფრანგეთის მისიის უფროსი გენ. დენონონკური.

✦ **ა. ი. ხატისოვი.** ამავე დღეს საგარეო საქმეთა მინისტრთან იყო სადარბაზოთ სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი.

✦ **ხამამმადიანო საქართველოს დელეგაცია** დღეს ინახულებს სხვა და სხვა საკითხების გამო საზავო კონფერენციის უმაღლეს კომისარს ამიერკავკასიაში პოლ ჰასკელსა და მისტერ ოლივერ უორდროპს, რის შემდეგაც დელეგაცია ბათუმში დაბრუნდება.

✦ **სანიტარული გადასახადი შესახებ.** 10 ენკენისთვეს ქალაქის მოურავს მოხსენებით წარუდგა თბილისის ვაჭარ მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე ხანდანოვი, სანიტარულ გადასახადის შესახებ. ქალაქის მოურავმა ნება დართო რათა ვაჭართა კავშირის ზედამხედველობით მოხდეს ხელახალი განაწილება გადასახადისა გადამხდელთა შორის და შემდეგი მოკლე ხანში აუწყონ ქალაქის გამგეობას. ნება დართო აგრეთვე გადამხდელთა სიებში შეიტანონ სპეკულიანტებიც რომელთაც უძრავი ან მოძრავი ქონება აქვთ. მოურავმა ნება დართო აგრეთვე გადასახადის ერთი მესამედი შეიტანონ 10 დეკემბრამდის ხოლო ორი-მესამედი კი ეხლავე. ნება დართო აგრეთვე გადასახადის ერთი მესამედი გადაიხადონ ჩეკებით, თუ უკანასკნელი ადვილი დასახურდავებელი იქნება ბანკებში.

✦ **თვითმკვლელობის განზრახვა.** 11 ენკენისთვეს ღამით კაფე „უნიონის" მოსამსახურემ ოგანეზ ტერ გრიგორიანცმა განზრახ მოიხტყა რევოლვერის ტყვია. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **ერობათა ყრილობა.** გუშინ თბილისის სამაზრო ერობის დარბაზში გაიხსნა საქართველოს ერობათა წარმომადგენელთა ყრილობა.

✦ **კლუბის დახურვა.** მილიციის უფროსის განკარგულებით დაჰხურეს. ბანქოს თამაშისათვის პოლონელთა კლუბი.

✦ **მკვლელობა.** 10 ენკენისთვეს დილის 10 საათზე ბებუთოვის ქუჩაზე ბოროტ განზრახვით, რევოლვერით მოჰკლეს ვინმე უცნობი. ერთი მკვლელთაგანი დაატუსაღეს.

— 10 ენკენისთვეს გრიბოედოვის ქუჩაზე მაჰმადიანმა ასეფ აბაშოვმა შური იძია ბარიანიძის ქალზედ და დანით მოჰკლა.

✦ **გერმანიიდან დაბრუნდა** საქარ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის აგენტი ინჟენერი მეტრეველი, რომელიც ამ დღეებში შესაფერ მოხსენებას წარუდგენს პალატას. მან ჩამოიტანა მრავლად კომერციული და საწრეწველო ცნობანი, რომელნიც მიეცემა მსურველთ პალატის ბინაზე.

✦ **სისხლის სამართლის მილიციაში.** ენკენისთვის 5 ს სისხლის სამართლის მილიციის მიერ სოფ. ახალშენში კოლა ასიტოვთან აღმოაჩინეს ჩოჩორი, რომელიც მოჰპარა ენკენისთვის 1-ს ს. წყნეთის მცხოვრებს ალექსანდრე წენგოაშვილს, მისმა მეზობელმა, ჯარისკაცმა, ალექსი იმეშაშვილმა და მიჰყიდა მენახშირე ასიტოვს. ჩოჩორი წაართვეს ასიტოვს და დაუბრუნეს პატრონს წენგოაშვილს, საქმის გამოძიება კი გადაეცა თბილისის მაზრის კომისარს.

✦ **სისხლის სამართლის მილიციის მიერ** ენკენისთვის 10 ს. დაპატიმრებულ იქნა პარტესის ქუჩის № 5 სახლის მეეზოვეს ძმა მკერტიჩ ტერგევორგოვი, რომელიც მდგარა სადარაჯოზე თავის ძმის მაგივრად სწორედ იმ ღამეს ენკენისთვის 9 ს, როდესაც ფრანცრიხბინიცკის იმავე სახლში მოჰპარეს 18 ათასი მანეთი ფულად და სხვა ავეჯეული.

✦ **შინაგან საქმეთა მინისტრის** ამხანაგმა შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა თელავის თბილისის და სიღნაღის ერობებს: „ჩემს განკარგულებაში შემოსული ცნობები დანამდვილებით მოწმობენ იმას, რომ ადგილობრივი ერობების დაწესებულებათ და გამგეობის წევრნი ერევიან რკინის გზის მართველობის საქმეში რაც შედის ერობის ფუნქციაში და რკინის გზების მართველობას და მასზე სასურველ ნიადაგზე საქმის დაყენებას მეტად აფერხებს. მინისტრის ამხანაგი ავალებს ერობებს მოახდინონ განკარგულება, რომ ასეთი მოვლენები არ გამეორდეს.

✦ **საქონლის ფარულად გაზიდვა.** ნეიტრალ ზონის კომისარი დემეტით ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ თბილისიდან სადგურ სანაინში მისულა ათასი ფუთი სიმინდის ფქვილი, 75 ფუთი საპონი, 11 ფუთი საწერი ქაღალდი და 60 ფუთი ბრინჯი, ნეიტრალურ ზონის კომისრის შეუტყობინებლად და სომხეთში უკვე გაუტანიათ.

✦ **გენერალურ შტაბის განმარტება.** საქ. რესპუბლიკის გენერალური შტაბი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გაზეთ „ბორბა"-ს 203 №-ში სომხური გაზეთიდან გადმობეჭდილი წერილი, რომელშიც ნათქვამია, ვითომც საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს ორჯერ ენახულოს ენვერ ფაშა და ჰქონოდეს მასთან ხანგრძლივი ბაასი, სიმართლეს არ შეეფერება, არსად და არასოდეს საქართ. სამხედრო მინისტრს არავითარი მოლაპარაკება ენვერ ფაშასთან არა ჰქონია.

# პროვინციის ცხოვრება

## ს. ლიხაური.

5 ენკენისთვეს ღამით ლიხაურში გვარდიელები თავს დაესხნენ სოლომონ გორდელაძის სახლს ავაზაკის შესაპყრობად. ატეხილ სროლის დროს მოკლულ არიან სახლის პატრონი სოლომონ გორდელაძე, მისი ცოლი და დაჭრილია მათი შვილი. გამოძიება სწარმოებს.

## ს. წალვერი.

ადგილობრივ მცხოვრებ გიორგი დარისპანის ძე ამირეჯიბს დღისით მივარდნია მიწ. მოქმ. სამინისტროს მოსამსახურე ტყის დარაჯი პეტრე აბულაძე და სროლა აუტეხია; გიორგი ამირეჯიბს გაქცევა მოუსწრია ხოლო 3 ტყვიით მძიმეთ დაჭრილა გიორგის ძმა იულონი.

# ს. პატარძეულის თეატრის გამგ. მოწოდება

20 წელიწადზე მეტია, რაც სოფ. პატარძეულში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ იმართება წარმოდგენები, ხალხი დიდის თანაგრძნობით ეპყრობა თეატრს. იგი მას უყვარს და შეგნებულიც აქვს — მისი დიადი მნიშვნელობა. საქმის ნორმალურ მსვლელობას ძლიერ ხელს უშლის საკუთარ შენობის უქონლობა. სოფელში არ მოიძებნება ისეთი შენობა, სადაც შესაძლებელი იყოს წარმოდგენების მოწყობა, ეზოებში, ცის ქვეშ, გამართულ წარმოდგენებს კი ხშირად ხელს უშლიდა წვიმა, ქარი და სხვა. ყველა გრძნობს, რომ თეატრისათვის საკუთარ შენობის აშენება ფრიად საჭიროა 1 სექტემბერს საზოგადო კრებამ ამოირჩია გამგეობა, რომელსაც დაავალა გამონახოს თეატრისათვის ადგილი და შეეცადოს შენობის აგება. ყველასთვის ცხადია, რომ დღევანდელ პირობებში წარმოდგენების მეოხებო შემოსავლით შენობის აგება შეუძლებელია.

საჭიროა დახმარება, როგორც ფულით, ისე ხე-ტყით და სხვა და სხვა მასალით. გამგეობა მოუწოდებს პატარძეულელებს გაიღონ შეძლებისამებრ წვლილი და ამით ხელი შეუწყონ ფრიად სასარგებლო საქმეს. შემოწირულების მიღება დაევალებული აქვთ ადგილობრივათ ზაქრო ბილანიშვილს და ვლადიმერ ბილანიშვილს, თბილისში ალექსი (საშა) ბურთიკაშვილს.

სოფ. პატარძეულის თეატრის გამგეობა.

P. S. გთხოვთ სხვა გაზეთებსაც ეს მოწოდება გადაბეჭდონ.

გამგეობა.

# აზერბაიჯანი

## სასულიერო სწავლების შემოღებისთვის

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სასულიერო სწავლების შემოღებისათვის სახალხო განათლების სამინისტრომ დაამზადა კანონ-პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა გაიხსნას 4 სამოსწავლო სემინარია: ორი კაცთა ნუხაში და შუშაში და ორი ქალთა ბაქოში და ნუხაში სხვანგებრ სასწავლებლებით. ნუხის საგანგებო სასწავლებელთან შეიკრიბენ მოაწყონ 90 სოფლელ ბავშვისთვის პანსიონი იმ პირობით რომ სემინარიის დამთავრებს შემდეგ მათ სოფლებში იმასწავლებლონ.

## ნაციონალიზაცია აზერბაიჯანში.

წმინდა ნინოს სასწავლებლის ნაციონალიზაციის გამო სასწავლებლის დირექტორი ა. რიგოვი და უფროსი ქალი ო. სოკოლოვი სამსახურიდან დაითხოვეს. ამიერიდან წმ. ნინოს სასწავლებელი იწოდება ბაქოს 1 გიმნაზიად.

## გაზეთების კონფისკაცია

ადმინისტრაციის განკარგულებით ენკენისთვის 9 ს ბაქოს პოლიცია გაზეთების გამყიდველებს ართმევდა გაზეთებს „გოლოს როსიას" და „რაბოჩი პუტ"-ს.

## ტეხნიკუმი

ენკენისთვის 15-ს გაიხსნება ბაქოს ტეხნიკუმი; რომელსაც ინჟინერთა ჯგუფი ხელმძღვანელობს ინჟინრებმა სახალხო განათლების მინისტრს წარუდგინეს გეგმა კურსებისა და განმარტებითი ფურცელი. ტეხნიკუმთან იარსებებს განსაკუთრებული განყოფილება სადაც ისწავლიან თურქულ ენაზე ისტორიას, ლიტერატურას და კულტურას.

# ამერიკის ჯარი

## ამიერ კავკასიაში

გაზეთი „ვრიადუში დ„ნ"-ი იუწყება:

სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ რომ კონსტანტინე პოლში ჩამოვიდა 45000 ამერიკული ჯარისკაცი. ამერიკელები სამხედრო ხელოვნების უმაღლესი ტეხნიკის მიხედვით არიან შეიარაღებული. ასე რომ ისინი თამამად დაიჭერენ ნახევარ მილიონიან ჯარის ადგილს.

ძალიან მრავლად აქვთ ამერიკელებს ტყვიის მფრქვეველები. ყოველ სამ კაცზე მოდის ერთი ტყვიის მფრქვეველი. ამერიკელები, როგორც გაზეთი იუწყება, შეცვლიან ინგლისელებს. პირველ რიგში ამერიკულ ჯარს სომხეთში გზავნიან"

# მოკავშირეთა მისიის ცნობა

## ბელაკუნის სამართალში მიცემა.

ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ მინისტრთა საბჭოში იუსტიციის მინისტრმა ზაცმა განაცხადა რომ მან ბრძანება გასცა მთავარ პროკურორს ბელაკუნის და მის ამხანაგების საქმის გამოძიების დასაწყობათ. მთავრობამ გასცა ბრძანება, რომლითაც ყველა კომუნისტები ჰუნგრეთში უნდა დაპატიმრონ.

## ბელაკუნის კაპიტალი

„Neue Tag."-ის ცნობით ბელაკუნის მიერ ფარულად საზღვარ გარედ გადაგზავნილი თანხა რამოდენიმე მილიონს აღემატება.

სულ გადაგზავნილია 50 მილიონი კრონი ქაღალდის ფული, 35 კილო ოქრო და 30 ყუთი სხვა და სხვა ძვირფასი ნივთი.

## გერმანიის დაწესებულებათა ახალ წოდებანი

ბერლინიდან იუწყებიან, რომ ღვინობისთვიდან გერმანიის დამფუძნებელი კრებას ისევ რეიხსტაგი დაერქმევა და გაუქმებულ მთავრობის კომისიის ჯაგიერ შემოქნება რეიხსტრატი.

## გერმანია პოლონეთის მოლაპარაკება

პაფიზში ფონ-ხანელმა, გერმანია-პოლონეთის შემათანხმებელ კომისიის კრების გახსნის დროს სთქვა: მე ვიმედოვნებ, რომ პოლონეთსა და გერმანეთის შორის სრულ შეთანხმება იქნება მიღწეული, რაც ასე საჭიროა ორივესათვის.

# მთაწმინდა და სერბეთი

(იტალ. რადიო)

მთაწმინდის პრეს ბიურო იუწყება რომ სერბიელებმა მრავლად ამოხოცეს მთაწმინდელები. ამ რიგად მტკიცდება ის ცნობები რომელიც „ჩიკაგო ტრიბუნ"-ში იყო მოთავსებული. ამ გაზეთს მოჰყავდა ოფიციალური ცნობები მოკავშირეთა კომისრების მიერ თავის მთავრობისადმი გაგზავნილი.

ამ ცნობების მიხედვით სერბიელები არავითარ ძალადობას არ ერიდებოდნენ ოღონდ მთავრობის სათავეში კი დარჩენილიყვნენ.

# პასპორტების გაუქმება იტალიაში

(იტალ. რადიო)

გაზეთებში იუწყებიან, რომ მოხდა შეთანხმება იტალიასა და სხვა სახელმწიფოთა შორის ავსტრიასთან ზავის შეკვრის შემდგომ პასპორტების გაუქმების შესახებ, რაც გააადვილებს საერთაშორისო მიმოსვლას, რაც ამ ომის დროს მეტათ შეეფერხდა.

საფრანგეთის პრესსა სიამოვნებას გამოსთქვამს ამ ფაქტის გამო რომ ათინაში იტალიის დელეგაციის ინიციატივით პასპორტების გაუქმება მოხდა და იმედოვნებს, რომ მოკავშირეებიც მას მიჰბაძავენ.

# დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ენკენისთვის 11

## ფრანგული პრესა

### რუმინია საზავო პირობებზე ხელს აწერს.

უმაღლეს საბჭოს მოხსენდა რომ რუმინია უარს არ ამბობს საზავო პირობებზე ხელის მოწერისას; მას მხოლოდ სასურველად მიაჩნია ხელმეორედ განხილულ იქნას ამ პირობების 61 მუხლი.

### გერმანიის წინადადება.

უმაღლესმა საბჭომ განიხილა გერმანიის ცნობა ვეიმარის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ და ხვალ ამ საკითხზე მიიღებს თავის გადაწყვეტილებას.

### გენ. ალენბი მარსელში ჩავიდა.

როგორც ამბობენ მარსელში მოსულა გენ. ალენბი. პრესის აზრით გენ. ალენბის საფრანგეთში ყოფნის დროს ადვილათ შეიძლება საბოლოოდ გადაიჭრას სირიის საკითხი.

### ავსტრიის ეროვნულმა ყრილობამ სენ-ჟერმენის ხელშეკრულება დაამტკიცა.

ავსტრიის ეროვნულმა ყრილობამ, 97 ხმით 23 ხმის წინააღმდეგ 43 თავი შეიკავა, დაადგინა მიღებულ იქნას სენ-ჟერმენში დადებული საზავო ხელშეკრულება.

### უმაღლეს საბჭოში.

სამშაბათს დილით შესდგა უმაღლეს საბჭოს სხდომა. განხილულ და მოწონებულ იქმნა პირობები ახალშენთა შესახებ, რომელსაც ხელს მოაწერენ ოთხშაბათს. პირობები შეეხება სპირტის წარმოებასა და სამხედრო სურსათის შეტანას ახალშენებში. გადასინჯული იქნება აგრეთვე ბერლინისა და ბრიუსელის ხელშეკრულებანი ამავე საგანზე. უმაღლეს საბჭოს არ დაუმთავრებია პასუხი გერმანელთა თხოვნაზე კონსტიტუციის შეცვლისა და მე-61 მუხლის შესახებ. არავითარი გადაწყვეტილება არ არის მიღებული აგრეთვე რუმინიის შესახებ.

### ავსტრიის წარმომადგენელი -სენერი სენ-ჟერმენში.

სამშაბათს დილის ათ საათზე სენ-ჟერმენში მივიდა ავსტრიის წარმომადგენელი სენნერი, ორი ჟურნალისტისა და იტალიელ კაპიტანის თანხლებით. სადგურზე შეეგება საგანგებო კომისარი და წევრი საფრანგეთის დელეგაციისა, რომელთაც სენნერი მიაცილეს მედიჩის სასახლემდე.

### ერცბერგერის ფინანსთა მინისტრობიდან გადაყენების შესახებ.

საკითხი ერცბერგერის ფინანსთა მინისტრობიდან გადაყენებისა კვლავ აღიძრა გერმანიის მმართველ წრეებში. ამ ჟამად ლაპარაკია ერცბერგერის ფინანსთა მინისტრობიდან გადაყენებაზე და არა მის სრულიად კაბინეტიდან გასვლაზე. როგორც ამბობენ ერცბერგერს მისცემენ ტრანსპორტის სამინისტროს. ერცბერგერის მოადგილეთ ბერნს სთვლიან. დემოკრატები მხარს უჭერენ ყოფილ ფინანსთა მინისტრს შეფერს. დემოკრატები აცხადებენ, რომ ისინი მხოლოდ მაშინ შევლენ სამინისტროში უკეთუ მათ კანდიდატებს პასუხსაგები ადგილები დაეთმობათ. მათ მოლაპარაკებას მმართველ წრეებთან კარგი პირი უჩანს. მოელიან სრულ შეთანხმებას.

### ლიტვა ხალხთა ლიგაში შესასვლელად ემზადება.

ბერნიდან მიღებულ ცნობათა მიხედვით ლიტვა ემზადება ხალხთა ლიგაში შესასვლელათ და საგანზე ილაპარაკა ექიმმა გლიზასმა მრავალრიცხოვან საზოგადოების წინაშე. განზრახულია დაარსდეს კომისია აღნიშნული მიზნის განსახორციელებლათ და ალიანსის მოლაპარაკება ნაციათა ლიგაში შესულ სახელმწიფოთა წინაშე.

### საზავო ხელშეკრულება 10 ენკენისთვეს ხელი მოაწერეს.

10 ენკენისთვეს დილის ათ საათზე სენ-ჟერმენში კლემანსოს თავმჯდომარეობით მოხდება ავსტრიის მიერ ხელის მოწერა საზავო ხელშეკრულებაზე. რუმინია თანახმაა ხელი მოაწეროს მხოლოდ მცირე ცვლილებების შემდეგ, რაზედაც მას უარი ეთქვა, როგორც მასვე ცოტა ადრე ჩინეთს. ჯერ არ იციან მოაწერს თუ არა ხელს რუმინია.

### გერმანიას ავსტრიის შეერთება სურს

უმაღლესი საბჭო იხილავს გერმანიის უარს მე-60 პუნქტის შეცვლის შესახებ, რომლითაც მას განზრახვა აქვს შეიერთოს ავსტრია.

### კინემატოგრაფების გაფიცვა

კინემატოგრაფების გაფიცვა პარიზში გრძელდება.

### რუსის ქვანახშირი პარიზში

ტრანსპორტისა და საზღვაო მოძრაობის მინისტრს განზრახვა აქვს ქვანახშირი რურის ხეობიდან პარიზში რეინის და მარნის არხების საშუალებით გადაზიდოს. ამ მიზნით დაწყებულია ენერგიული მუშაობა. ჯერჯერობით შეიძლება გადატანილ იქმნას დღეში 200 ვაგონი, მაგრამ ოქტომბრიდან ტრანსპორტის საქმე დიდათ გაუმჯობესდება.

## იტალიური პრესა

### ბულგარეთის ხელშეკრულება

მომავალ კვირაში დამთავრდება ბულგარეთის საზავო ხელშეკრულების პირობები.

### აფეთქება მილანში

როგორც იუწყებიან, მილანის გალერეიაში საზარელი აფეთქება მოხდა. ხალხი საშინლად დაფრთხა. გამოირკვა, რომ აფეთქება ანარქისტს მოახდინა, რომელიც თავათვე გახდა მსხვერპლი ბოროტმოქმედებისა.

### ამიერ-კავკასიის იტალიის მისიის მოხსენება.

ამიერ-კავკასიაში გაგზავნილმა იტალიის მისიამ საყურადღებო მოხსენება წარმოუდგინა წარმოებისა და შრომის სამინისტროს.

### ჩერნოგორიელები და სერბიელები.

მართლდება ხმები სერბიელთა მიერ ჩერნოგორიაში ჩადენილ სისასტიკეთა შესახებ.

### ამერიკელთა კომისია ვარშავაში.

ვარშავაში მივიდა ამერიკელთა ფინანსიური კომისია, რომელმაც უნდა შესწავლოს პირობები ფინანსიური მოღვაწეობის გაჩაღებისა პოლონეთსა და ბალტიის მხარეში.

### უცხოელთა წასვლა ასტრახანიდან

რეიტერის ცნობით არხანგელსკიდან წავიდა უცხოელთა დიპლომატიური კორპუსი; აღნიშნულ ქალაქში უცხოელ ჯარების ადგილი რუსულმა მხედრობამ უნდა დაიჭიროს.

### დემობილიზაცია

სამხედრო სამინისტრომ ბრძანება გამოსცა 1894 წლის დაბადებულთა და ჯარში გაწვეულთა დემობილიზაციის შესახებ.

### კანცლერი რენნერი

კანცლერი რენნერი პარიზში სამშაბათს დილით მოვა. ჰფიქრობენ, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ოთხშაბათს დილით მოხდება.

### პუანკარეს სიტყვა

ბორდოში ძეგლის საფუძვლის ჩაყრის დროს პუანკარემ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

## გერმანული პრესა

### გერმანულ-ავსტრიის ეროვნულ კრებაზე

გერმანულ - ავსტრიის ეროვნულმა კრებამ დაბოლოს განაცხადა თანხმობა საზავო ხელშეკრულების ხელის მოსაწერად. კანცლერმა რენნერმა მოხსენება გააკეთა სენ-ჟერმენში მოლაპარაკების შედეგების შესახებ. ერთმა დეპუტატთაგანმა მთავარი კომიტეტის მოქმედების მიზნები აღნიშნა. (დამახინჯებულია), მთელ ქვეყნიერობას ეცნობა პროტესტი, მოკავშირეთა იმ მოქმედებაზე, რომელმაც გერმანელ-ავსტრიის დამოუკიდებლობის ვითომ და დაცვის მიზნით. წაართვა მას თვითგამორკვევის უფლება და გააუქმა ავსტრიის გერმანელების გერმანიასთან შეერთების სურვილი. რაც პოლიტიკურის, ეკონომიურის და კულტურულის თვალსაზრისით აუცილებლობას შეადგენს, ეროვნული ყრილობა იმედს გამოსთქვამს როგორც კი ზავი დაიჭერს ადგილს იმ სიძულვილისას, რომელიც ომმა შექმნა. ხალხთა ლიგა გერმანიის ხალხს არ ეტყვის უარს დაუბრუნოს მას თავისი უფლებები. შემდეგ ეროვნული ყრილობა პროტესტს აცხადებს ალპის რაიონში 3 ნახ. მილიონ გერმანელების ჩამოშორების და მათი უცხოელების დამორჩილების გამო.

ეროვნული ყრილობა ამის პასუხისმგებლობას აკისრებს იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება, მიუხედავად ავსტრიის გერმანელების სერიოზულ პროტესტებისა, სისრულეში მოყავთ. ამას გარ და ეროვნული ყრილობა პროტესტს აცხადებს, სამხრეთ ტიროლის თავის ნაციაზე და სამშობლოზე ჩამოცილების გამო. უნდა ვიფიქროთ, რომ ხალხთა ლიგა ამ უსამართლობას გაასწორებს. სასურველია გერმანულ ავსტრიასთან, დასავლეთ უნგრეთთან და გერმანელ ალპებთან შეერთება. სამწუხაროდ ეროვნულ ყრილობა უნდა მიიღოს მხედველობაში გაჭირვებული მდგომარეობა როგორც ეკონომიური ისე პოლიტიკური და უნდა მოელოდეს თუ ამ შემთხვევაში რას გააკეთებს მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად. ყრილობას იმედ აქვს, რომ ყოველივე ის რაც გამოთქმულია მოკავშირეთა პასუხში ასრულებული იქნება. ხალხთა ლიგამ უნდა დაგვიბრუნოს ჩვენი რესპუბლიკის უფლებები და დაიცვას ისინი. შემდეგ ეროვნულმა ყრილობამ დაავალა კანცლერს მოაწეროს ხელშეკრულებას ხელი.

### ინგლისელები არხანგელსკში.

არხანგელსკის თეთრგვარდიელები სთხოვენ ინგლისელებს გაზაფხულამდე დარჩენ არხანგელსკში, რადგან თუ ინგლისელები წავიდენ თეთრგვარდიელები დაიღუპებიან წითელი ჯარის შეტევით მოკავშირეთა ყველა დიპლომატები არხანგელსკიდან წავიდენ. რიგაში განცხადებაა გაკრული, რომ ყოველ 1 თეთრის მკვლელობისთვის დახვრეტენ საბჭოთა ყოფილ 10 მოსამსახურეს ან მათ ოჯახებს.

## ფრანგული პრესა

### საფრ. დეპ. პალატაში.

პალატაში დაიწყო კამათი ხელშეკრულების ფინანსიური პირობების გამო. პლოცი აცხადებს, რომ გერმანია საფრანგეთს 436 მილიარდს 36 წელიწადში გადაუხდის. შემდეგ იხილავს რა ამ საკითხს, კრედიტის თვალსაზრისით, ის ამბობს რომ ასეთის შედეგით ქვეყანა კმაყოფილი უნდა იყოს.

# 100 მილიონიანი სესხი

როგორც გაზეთებმა გადმოგვცა, თბილისის თვითმართველობის გამგეობას საფრანგეთის მისიის მეთაურმა ას მილიონიანი სესხი შესთავაზა ქალაქ თბილისის წყალსადენის გასაფართოებლად და მოსაწყობად. რასაკვირველია, სესხის შეთავაზებისათვის ღრმესი მადლობის ღირსია საფრანგეთის მისიის მეთაური, მაგრამ ერთ წამსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ, თუ სესხი განხორციელებულ იქმნა თვითმართველობის მიერ, დიდ დანაშაულს ჩაიდენს არამც თუ ქალაქის გამგეობა არამედ მმართველი პარტიაც.

ევროპიელები, როგორც კაპიტალისტები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ჩვენი ხალხი.

იგინი ცდილობენ, ასეთ სესხებით და ათასგვარ დათმობით ეკონომიურად დაგვიმონავონ და ამით იძულებული გაგვხადონ დამოკიდებულად ვიყოთ მათთან. ჩვენ თუ სესხებს მივმართავთ ან და კონცესიებს გავსცემთ, ამით, საკუთარ ეკონომიურ პოლიტიკის მწარმოებელი ვიქნებით? არა, იმიტომ, რო მთელი ინიციატივა ეკონომიურ დარგში გადავა ევროპიელთა ხელში, რომელნიც მთელ ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს - გაჰზიდავენ.

საკმარისია მაგალითისათვის გერმანიის პოლიტიკა ოსმალეთში, სადაც შესძლო გერმანიამ მთელი ეკონომიური დარგი ოსმალეთისა ხელთ იგდო და ამრიგად დამორჩილებული ჰყავდა.

მეორე მაგალითს წარმოადგენს თვით ინგლისი. რანაირ პოლიტიკას აწარმოებდა სპარსეთში, რუსეთში და სხვა ახალშენებში?

მაშასადამე, ნიმუშების მოწამენი ვართ და ამისათვის საჭიროა ფრთხილად მოპყრობა ყოველივე ასეთ წინადადებაზე, ვსთქვათ სესხი ავიღეთ; მივიღებთ ინგლისის ვალიუტით, რაიც გაზეთების ცნობაც ასეთია, ინგლისის ვალიუტის მიხედვით სესხის აღება, უფრის ჩვენი ვალიუტის შედარებასთან მთელი საქართველოს სიმდიდრის მიცემას. დღეს ჩვენი ფინანსიური სისტემა ისე აწეწილ-დაწეწილია, ეკონომიურად ისე განადგურებული ვართ, რომ ამის გამოსწორებას დიდი დრო სჭირდება. მაშასადამე, სესხის მომცემს შეუძლიან დაიგიროს, არამც თუ თბილისის წყალსადენი, არამედ სრულიად თბილისის ავლა დიდება, რო-

დის უნდა გაისტუმროს წყალსადენმა ასი მილიონი? თუ დიდი გადასახადი იქნება წყალზე მაშინ განხორციელდება მუნიციპალიზაცია; ან სოცია-იზმი? ნუ თუ ასი მილიონის გასტუმრებამდის მთელი თბილისის წყალსადენი ისევ გასაკეთებელი არ იქნება?! ასი მილიონი ისეთი დიდი თანხაა, რომლის გასტუმრება ყველა ქალაქის მეურნეობის დარგს არ შეუძლია.

საჭიროდ მიმაჩნია მაგალითისათვის მოვიყვანო „ბელგიის უსახელო საზოგადოების“ მოქმედება რუსეთში. ხსენებულ საზოგადოებამ ისეთი „ტკბილი“ სიტყვებით მოიკიდა ფეხი, რომ მან ჩქარი ტემპით იწყო თავის ოპერაციების გავრცელება, რის შედეგად მოჰყვა სრულიად რუსეთის ქალაქების ტრამვაის ლიანდაგების კონცესიის სახით აღება.

უსახელო საზოგადოება რუსეთის ქალაქებს ამშვენიერებდა, ალამაზებდა და ეკონომიურად ჰყვლეფდა და ინიციატივის როლი რუსეთს წაართვა და ეროვნულ კაპიტალის განვითარებას გზა დაუხშო. შედეგი როგორი იყო უსახელო საზოგადოებისა? ისეთი, რომ დიდი პროცენტი რუსეთის სიმდიდრისა გაზიდა და კონცესიების ვადის გათავებისას მთელი მოძრავი ინვენტარი ტრამვაისა გაფუჭებული შეიქმნა. სესხის აღებამ არ უნდა გაგვახაროს, ვინაიდან ამით მომავალ თაობას ვუმზადებთ ისეთ საშინელებას, რომლის მოხდენა ძალიან ძვირად დაუჯდებათ. თუ მოწოდებული სესხი თბილისის თვითმართველობის გამგეობამ აიღო, მას ინერციულად მიჰყვება საქართველოს სხვა ქალაქების მიერ სესხის აღება, კონცესიების გაცემა, რაიც ეკონომიურად დამოკიდებულს გაგვხდის ევროპიელებთან, რომლებიც შესძლებენ ჩვენითვე დახმარებით მთელი სიმდიდრე გაზიდონ. აღება ადვილია—მიცემა კი ძნელი.

აღებული სესხი სხვა რამეებში გაიფლანგება და დანიშნულების მიზანს ვერ მიაღწევს, ამრიგად წყალსადენიც გაუკეთებელი დაგვრჩება და ფულიც ხელიდან გაგვეპარება. ეს, ასე რომ არ მოხდეს, აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია რომ სესხის აღებამდის მოწვეულ იქმნეს მცოდნე პირებისაგან თათბირი, რომელიც შესძლებს სხვა საშუალების მოძებნას.

ნიკ. ახვლედიანი.

## მესოპოტამია—მხარე სიუხვისა

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ომმა ინგლისელები მესოპოტამიაში შეიყვანა, ისინი მაშინვე შეუდგნენ დიდ ტეხნიკურ მუშაობას ტიგროსსა და ეფრატზე, რასაც რასაკვირველია ოსმალეთი ვერ შესძლებდა. მორწყვის პროექტის განხორციელება და სხვ., რაც წარედგინა პრწყინვალე პორტას 1908 წ. ინგლისელებმა თავს იდეს ჯერ კიდევ 1915 წელს. და რაც უფრო ინგლისელები მიიწეოდნენ ბაღდადისაკენ ინჟენერებისგან თანდათაბით მუშავდებოდა მესოპოტამიის ექსპლოატაციის საკითხი. ამ ჟამად განზრახულ საქმეთა ხარჯები აღემატება 100 მილიონ ფრანკს.

ეს მუშაობა შემდეგში მდგომარეობდა: ეფრატზე, იმ ჯებირების გარდა, რომელიც მიმართულია 100 კილომ. აგებული იქნება კიდევ ერთი რამდენის სანახებში რომლის მუშაობა თანისთანობით სრულდება.

მეზობელი ტბა—აბონია მის აუზად იქნება. შემდეგ განზრახულია ეფრატთან პერპენდიკულიარ და პარალელ არხების გაყვანა.

მდ. ტიგროსისთვის განზრახულია ორი ჯებირი: ერთი ბაღდადის ჩრდილოეთით, მეორე 100 კილომ. მის სამხრეთით.

რაც შეეხება მესოპოტამიის კულტურას, 4 წლის გამოცდილებანი გვაჩვენებს! რომ თავისი ნაყოფიერებით თუ არ აღემატება არც ჩამოუვარდება ეგვიპტეს.

მიწა მეტად მდიდარია აზოტით და გაპატივებას არ საჭიროობს,

გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ გიორგობისთვიდან მაისამდე თესლი, ხორბალი და ქერი საოცრად იზრდება. ზაფხულობით, ფეტვი, და სხვა მცენარეულობანი დიდძალ გამეორებულ მოსავალს იძლევა.

ნოტიო ადგილები ზრდის ბრინჯს, ხოლო ქვედა მიწები—შაქრის ლერწამსა და ბამბას. ბაღები იძლევიან ყოველნაირ ხილს, ნარინჯსა და ნესვს, რომლითაც ეხლა ბაღდადში დიდი ვაჭრობაა გამართული. უფრო ხმელ ადგილებში იზრდება დანაკი.

თუ ამ დიდარ მხარეში გაუმჯობ

სებულ იქმნა კულტურა მაშინ ევროპისათვის იგივე ბეღელი იქმნება როგორიც არის ამერიკა.

ინგლისის მთავრობა ამ ჟამად იქ აწყობს ტრანსპორტს.

ბაღდადის რკინის გზას უერთდება მუშაობა რასსორა-ნაშატელ-ორაბისა და კოვეტის წავთ-სადგურების გაფართოება სპარსეთის ყურეზე.

ინჟენერს დეფოსს განზრახვა ჰქონია გაიყვანოს 1.560 კილომეტრიანი არხი, რომელიც ხმელთა შუა ზღვას სპარსეთის ყურესთან შეაერთებს.

## ჩრდილოეთ-კავკასიის ერები

1. აბაზინები*)

ძველი დროიდგან შავი ზღვის კრად კავკასიონის მთებში და ყუბანზე სცხოვრობდენ აბაზინები. ამათი გვარისანი იყვნენ ბასილბა, თამო, ყიზილბეგ, შაჰგირეი, ბარაქაი, ბალო, ფსხუ, ახჩი-ფსხუ და საძე (ჯიქნი). ამათივე მახლობელი განაყოფები არიან აფხაზნი და აგრეთვე თვით ჩერქეზთა სხვა თემები, აბძეხი, უბიხი, შაფსუგი და სხვ.

სახელებს აბაზინ, აბსნ, აფსუა (აბხაზი, აბხაზეთი) შორეული დამოკიდებულება აქვს ქართველ მეფეების ნართაულ წოდებასთანაც: ობეზად იწოდებოდენ ჩვენი მეფეები აფხაზეთის საქართველოსთან შეერთების (985 წ.) შემდეგ.

აბაზინებს, როგორც დანარჩენ ჩერქეზებს, მეტიმეტად უყვარდათ თავის მთიანი სამშობლო და მის დასაცველად არ ზოგავდენ თავიანთ სიცოცხლეს.

მეექვსე საუკუნეში ავარის ხან ბაიანმა, კასპიის ზღვის იქით მხრიდან გადმოსულმა, დაიპყრა თითქმის მთელი კავკასია. ვნევე ჩერქესიანთ გაუგზავნა მოციქულები და მოსთხოვა დამორჩილება. ჩერქესთ წინამძღვრად მაშინ იყო ლავრისტონი და მის მეთაურობით ხანს შეუთვალეს:

„ვინ მიგვიღებს ჩვენ თავისუფლებას? ჩვენ სხვათა მიწების წართმევას ვჩვეულვართ და არა ჩვენის დათმობას სხვათათვის. ასე იქნება მარადვიდრე არსებობს ბრძოლა და მახვილი“. ბაიანმა 60 ათასი აბჯროსანი მიუვლინა საჩერქეზოს და დაარბევინა ქვეყანა ყუბანიდამ შავ ზღვამდე. სოფლები გადააბუგვინა, ყანები და სახლები ცეცხლს მისცა. თვით ლავრისტონით ამ გმირულ ბრძოლაში დაიღუპა, აგრეთვე მრავალი მკვიდრი ხალხი შეიმალა მთებში. აყვავებული, შედარებით, მხარე დაქვეითდა, დავარდა, დასუსტდა. ბოლო ბაიან ხანის მრისხანე სახე დარჩა ხალხის ხსოვნაში. „ჩვენი მხნელი ძლიერი ილია ლრუბლებით გამო მოსპობს თეთრ ცხენზე მჯდომარე ბაიან ხანსო“, —უწყება მათი ხალხური ლექსი.

გადმოცემით, მაშინვე დატრიალებულა აგრეთვე „შოლტი ღვთისა“ ატილა, რომელსაც მიუღწევია რა შატიგორამდე (იალბუზამდე), უკანვე დაბრუნებულა. ესეთი მოულოდნელი ხსნა მიუწერიათ შატიგორასიკას და მას აქეთ ამ ცამდის აწვდილ მწვერვალს ნართაულად უწოდებენ ბედნიერს.

მდინარე მზმთასა და ბზიბ შორის ცხოვრობდნენ ჯიქები, მათ ზემო მდინ. ფსხუს ორივ ნაპირებზე მოსახლეობდნენ ტომნი ფსხუ და ახჩი-ფსხუ. უფ უპის მდინარეზე ბინადრობდნენ ნოღაელები.

ყველა ესენი განთქმული მეომარი ხალხი იყო. მათი ნუგეშ ისეთივე იყო, ვით შოთას გმირებისა: „სიცოცხლესა ნაძრახსა სჯობს სიკვდილი სახელოვანი“. მტრებთან ბრძოლაში დაღუპული საშაირო გმირად ხდებოდა. აბაზინი, ნოღაელი და საზოგადოდ ყველა ჩერქეზი თავგამეტებით ბუმბერაზულად იბრძოდა, ოღონდ თავის მამულის, თავის ქვეყნის და თავის ერის თავისუფლებისთვის გმეტებით ჰომობდა. ომიდან გამობრუნება მან არ იცოდა: ან თავს შეაკლავდა ან გაიმარჯვებდა. ამ აზრით ისხამდა იარაღს, ამ აზრით ჯდებოდა თავისებრ მარდ ცხენზე და ამ აზრით მიეწოდა მოსულ მტერს. მაგრამ მათი ჟამიც ბოლოს ჩამოირეკა. ჩრდილოეთის ძლიერება სულთამხუთავად აუჩნდა, მეტადრე მის შემდეგ, რაც ირაკლიმ 1783 წელს და გიორგიმ 1798 წ., მოლაპარაკება გაუმართეს ჩრდილოეთის ძალას. საქართველოში მომაგრებულმა მანგანაში

*) ამ წერილის ზოგი ცნობა ვისესხეთ ს. სჯ. ესაძის წიგნიდან. (იხ. შემდეგ წერილში).

ჩაიგდო კავკასიონის წვრილი ერები და მალე გაწყვიტა, ვით საქვაკაში იწურება ღვინო.

26 მარტს 1864 წელს ჯიქნი ეუბნებოდნენ რუსის ღენერალს.

„ჩვენ ვართ ჯიქნი. ჩვენ ვართ თავისუფალი ერი. არასდროს და არავისთან ბრძოლა არა გვქონია და არასდროს სხვათა ქვეშევრდომნი არა ვყოფილვართ“.

არ გასჭრა სხვა თემების წარმომადგენლების სიტყვამაც, რომ მათ უნდათ მხოლოდ თავიანთი თავისუფლება, მოსვენებით ყოფნა თავიანთ მიწა-წყალზე, სუნთქვა თავიანთ მთების ჰაერივან მონაბერით, რომ სურთ მხოლოდ დაეხსნან მათ, რომ უგზოუკვლობას თავიანთ მთებში აიტანენ და თავისუფლებას—კი ვერ გაიმეტებენ. მაგრამ ამაო იყო მათი ვედრება—მუდარა. თუ ვინდათ, მთებიდგან დაბლობებში გადმოსახლდით და თუ არა, ოსმალეთში წაბრძანდითო, უთვლიდნენ. ძალა აღმართსა ხნავს. 600,000 სულამდე ოსმალთა კატარღებით გასახლდა ოსმალეთში, დანაშთენების თავისუფლებაც გამოიქაჯა მტარვალურ მანქანაში.

შ. ჯანაშვილი.

## გელათის მონასტრის შესახებ

მეტად სასიამოვნო ამბავი იყო დაბეჭდილი გაზეთებში: უნდა გელათის ტაძარი შეაკეთოთ, განაახლოთო.

გელათი, მცხეთა, მარტვილი, ალავერდი და მრავალი კიდევ სხვა ჩვენი ერის სიამაყენი ერთ საუკუნეზე მეტია, რაც დაობლებული და სრულიად უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებული „არამკითხე დედინაცვლის“ ხელში.

დღეს კი როდესაც საქართველოს ეღირსა თავისუფლება ახლა კი ჩვენი მოვალეობაა მოვიკრიფოთ ყოველი ძალ-ღონე და შევუდგეთ საქართველოს განახლებას, ვიცი, ბევრს სიცილსაც მოჰგვრის ეს სიტყვები და ირონიას გამოიწვევს... რა დროს მონასტრებზე და ეკლესიაზე ენერგიისა და შრომის დახარჯვაა. ახლა ჩვენ „ახალ-ახალი ნაბიჯებით“ ევროპასაც კი უნდა წინ გაუსწროთო.

რა გაეწყობა, ვისაც როგორ უნდა, ისეთი აზრისა იყოს, მაგრამ მე კი გავიმეორებ: ჩვენ თუ დღეს რაიმე ფასი გვაქვს, როგორც ერს, განათლებულ ქვეყნებში და შეგვიძლია ხმა ავიმაღლოთ და ვამცნოთ მათ, რომ საქართველო არაა ველური ქვეყანა,—ისევ ჩვენი მწიგნობრობით, ხუროთ მოძღვრებით და არქეოლოგიურ შესანიშნავი ნაშთებით ცრას ჩვენს სიამაყეს შეადგენს ჩვენი ძველი ნაშთები ამიტომაც ჩვენი მოვალეობაა, ამას დიდი ყურადღება მივაქციოთ, განვაახლოთ, დავიცვათ და, როგორც ძვირფასი განძი ჩვენი ერისა-წმინდათ შევინახოთ.

ეს ჩვენი პაწია კუთხე დღემდე ვერ გაისრისა ურდო აზიელთა შემოსევებისაგან, ვერც დიდმა რუსეთმა შესძლო მისი გაქარწყლება და გასრესა 117 წლის ბატონობით.

დღეს ყოველ დარგში მოგვეპოვება ჩვენ საუკეთესო თანამემამულენი.

სასულიერო წოდებასთან საერონიც ბევრი გვყავს, რომლებიც მხარს დაუმშვენიებენ ჩვენს საუკეთესო მამულიშვილს კათალიკოზს ლეონიდს. მხნე და ძალ ღონით სავსე ნაზარი ქუთათელიც გელათის ტაძრის განახლების საქმეში თავს დასდებს, მაშ ვიმედოვნოთ, რომ ეს ფრიად დიდ მნიშვნელოვანი საქმე სისრულეში მოსულიყოს სულ მოკლე მომავალში.

როდესაც გელათის ტაძრის ბუმბერაზ კედლებს მოსჩერებიხარ, ერთი რამ ძალა უნებურად ძიიპყრობს ჩვენს ყურადღებას. გელათის ტაძარი მოგაგონებთ საქართველოს დევ გმირს, რომელსაც თვალებზე ეთერი გადაჰკვრია და მხედველობა სრულიად დაუკარგავსო. სწორეთ გელათის ტაძრის ფიცრებით აჭედილი ზედა სარკმლები ისე გამოიყურება, როგორც დევ-გმირის სინათლეს მოკლებული თვალები.

ხახხოს დათეშიძე.

## კორესპონდენცია

### ქ. ზესტაფონი.

სამშაბათს, 2 ენკენისთვეს, ღამის 1 საათზე ფულის გატაცების განზრახვით თავს დაესხნენ შეიარაღებულნი ადგილობრივი გიმნაზიის მოწაფენი ვაჭარ სილოვან გაჩეჩილაძეს. ხსენებულ გაჩეჩილაძეს აღრევე ჰქონია მისული მუქარის წერილი ზედ კუბოს გამოხატულებით, რითაც აფრთხილებდენ

მოხუც ვაჭარს თუ ფულს არ დაახვედრებდა ნაჩვენებ ღამეს. ვინაიდან გაჩეჩილაძე ყოველ ღამე მოელოდა ამ მავნე სტუმრებს, იგი სულ მზად იყო მათთან გასამკლავებლად და არა ფულის მისაცემად: ამ მოწაფეებმა იქირავეს პარიკმახერთან პარიკები, გამოეწყვნენ და მივიდნენ ვაჭართან. ეზოში შესვლისთანავე, კარებთან შეგზავნეს ერთმე მოწაფე აბდინარაძე, რომელმაც კარებს კაკუნი დაუწყო. ამ დროს ვაჭარ გაჩეჩილაძეს გამოეღვიძა და მის ნაცვლად რომ კარები გაეღო, გავიდა უკანა კარებში და ჩაესაფრა. ჩასაფრებულ გაჩეჩილაძემ ვინტოვკიდან რამდენჯერმე ესროლა მდინარაძეს, რომელიც კარებში შედიოდა. მდინარაძემ სული იქვე განუტევა. დანარჩენები, ეზოს ბოლოზე მდგარნი სროლის დროს ყველანი გაიქცნენ, მოხუცმა ვაჭარმა ასტეხა საშინელი სროლა რომელზედაც მილიცია გამოეხმაურა და გამოარკვია საქმის ვითარება. მეორე დილით, შეიპყრეს ყაჩაღთა ჯგუფის წევრნი მოწაფეები სახელდობრ: დავით ჰამკვატაძე, ა. კოვზირიძე, გ. გიწაძე, კოწია გაჩეჩილაძე, თოდრია, ჯამგველაძე და სხ.

დააპატიმრეს პარიკმახერი „ჟორჟი“-ც, რომელმაც დამცემთ პარიკები მიაქირავა.

## წერილი სოფ. შროშადან

ს. შროშა მდებარეობს, შორაპნის მაზრაში. რკინის გზას შროშის საზოგადოება სად. ძირულიდან უდგება.

შროშის საზოგადოებაში დღემდი შედიოდა 8 სოფელი:

1) საწაბლე, 2) შროშა, 3) შუასოფელი (პამაისი), 4) ჭალა, 5) სამება, 6) ძირულა, 7) ლაშე-ღვერკი, 8) ღილაძისული. შროშის ცენტრად უწინდელ ადმინისტრაციის მეოხებით დასახელებული იყო სადგური ძირულა, რადგან მათ ეადვილებოდათ რკინის გზით მოგზაურობა. სასოფლო სამმართველოც იქ იყო და სულ არ უწევდენ ანგარიშს ხალხის სურვილს, რომლითაც ხალხი სახავდა ცენტრად შროშის საზოგადოებისა სწორედ მის შუაგულს, „მაჰარულას“.

მაჰარულა სადგ. ძირულიდან დაშორებულია ოთხი ვერსის მანძილზე. შროშის ზევით, საწაბლისკენ და სხვა ამ საზოგადოების ფარგალში მყოფ სოფლებისკენ რომ ავიწიოთ, ნათლად დავრწმუნდებით იმაში, რომ 15 ვერსი, მეტი თუ არა ნაკლები არ იქნება მაინც უხდებოდათ და უხდებათ სოფლელებს ძირულის სადგურზე ჩამოსვლა ძველადაც დიდი თავის ტეხა იყო შროშელებიდან თავის ნამდვილ ცენტრში კულტურულ დაწესებულებათა გადატანაზე, მაგრამ სრულიად ამაოდ რჩებოდა მათი ღაღადი. ამაში ყოველთვის ძირულის მხარის დამჭერი მხოლოდ ძველი ბოქაულები გამოდიოდენ იმ მიზეზით, რომ რკინის გზის პირზე იყო ეს დაწესებულებები. მაგრამ დღეს, როცა ხალხს აქვს საშუალება თავისი სიმართლე აღადგინოს, ეჭვი არ უნდა იყოს, რომ ერობაც და მთავრობაც დაიცავს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებას. ყველა ზემო ჩამოთვლილ სოფლებს უდგება მაჰარულა თავისი გეოგრაფიული და ყოველგვარი მდგომარეობით. შროშა წარმოადგენს ქვაბს გარშემორტყმულს თავის კალთებზე მეზობელი სოფლებით. მაჰარულა კი შეადგენს მის ძროს, რომელსაც ზედ და ჩერებია გარშემორტყმული სოფლები. შროშას მაჰარულაში კარგა ხანია აქვს 1) დღეს უკვე ოთხკლასიანი გადაკეთებული პირველ დაწყებითი 4 კლასიანი უმაღლესი სასწავლებელი 2) სამკითხველო და 3) კოოპერატივი. აგრეთვე ახლა დაარსდა კულტურულ-განმანათლებელი კავშირი, რომლის მიზანია ძველ დაწესებულებებსაც ადევნოს თვალყური და ახალი კულტურული დაწესებულებებიც დაარსოს, როგორც მაგალითად: 1) სახალხო სახლი, 2) აფთიაქი, 3) გზა-ტკეცილი, 4) საავადმყოფო, 5) ფოსტა, 6) ბაზარი, 7) ელექტრონის განათება და 8) რკინის გზა ძირულიდან შროშის და ამაშუკეთის გზით წყლის პირით, პირდაპირ სურამამდე. შროშაში მოიპოვება შემდეგი მადნეულებანი: 1) წითელი საღებავი (სურიკი) 2) ყვითელი საღებავი (ოხრა) 3) ცეცხლის გამძლე აყალო 4) წითელი მარმარილო 5) თიხის საკეთებელი საუკეთესო აყალო. (შროშის თიხის ქურჭელი განთქმულია) შროშა უმთავრესად იძლევა კიდევ საუკეთესო ღირსების ღვინის. აგრეთვე ამბობენ მადნეულობებში საწაბლე ამაშუკეთის გზით თითქოს ოქროს და ვერცხლის მადნის ნიშნებიც უნდა

იყოსო. ყველა ამას თუ ოდესმე გვეღირსა სპეციალური ანალიზი დაამტკიცებს. ვინაიდან ხალხი დაიმედებულია, რომ დღეს მაინც ეღირსება თავისი უფლების აღდგენას, ამიტომ მათ შეადგინეს ქაღალდი სამმართველოსა და ყველა თავისი კულტურულ დაწესებულებათა მაჰარულაში გადმოტანაზე და მიართვეს შორაპნის ერობას. თუ რამდენად შეეგულია მაჰარულა შროშის საზოგადოებისათვის ამას ამტკიცებს განათლების სამინისტროს მიერ სკოლის საკითხის გამოსარკვევად გამოგზავნილი განსაკუთრებული კომისსია, რომელში სპეციალურად ინჟენერი შედიოდა. ამ კომისსიამ ცენტრად იცნო მაჰარულა. იმავე კომისსიამ, რომელიც შროშის საზოგადოებამ აირჩია სკოლისა და სამმართველოს საქმეთა მოსაგვარებლად, ასეთი შინაარსის ქაღალდი მიართვა შორაპნის მაზრის ერობას: „რადგან, შროშის საზოგადოების შეაგული ადგილი „მაჰარულა“, გეოგრაფიულად, ეკონომიურად და კულტურულადაც ცენტრად არის ცნობილი, როგორც შროშის საზოგადოების, აგრეთვე განათლების სამინისტროს მიერ ამავე საკითხის გამოსარკვევათ გამოგზავნილ კომისსიითაც, რომლის შემადგენლობაშიაც საგანგებოთ შედიოდა ინჟენერი, ამისათვის საზოგადოება საჭიროთ სცნობს ეთხოვოს შორაპნის სამაზრო ერობას რათა ნება დაგვრთოს სამმართველო გადმოტანილ იქმნეს ნამდვილ ცენტრში, სადაც დიდი ხანია არსებობს 3. დ. უმაღლესი სასწავლებელი, კოოპერატივი, სამკითხველო და სხვა საჭირო დაწესებულებაც. შროშის შემადგენლობიდან დიდი ხანია გამოსულა ლაშე ღვერკი და შეადგენს ცალკე ერთეულს. სოფ. ძირულა კი დარჩენილია შროშასა და ლაშე-ღვერკს შუა. ამ თხოვნაზე ხელს აწერს 760 კომლი. ძირულა კი წარმოადგენს 81 კომლს. შორაპნის სამაზრო ერობის ზოგიერთი წევრი როგორც გავიგეთ მხარს უჭერს სოფ. ძირულას, რათა ყველაფერი იქ იქნეს გადატანილი. მაგრამ, შროშის საზოგადოებას კი ღრმადა სწამს, რომ არც მთელი შემადგენლობა შორაპნის სამაზრო ერობისა და არც ჩვენი დემოკრატიული მთავრობა არ მოინდომებენ უმრავლესობის კანონიერი სურვილი ჩაჩრდილოს 700 კომლზე უპირატესობა 81 კომლს მიანიჭოს.

თუ ეს ასე არ მოხდა ეს იქნება დიდი დაბრიყვება ხალხის ჭეშმარიტ იურიდიულ და ყოველგვარ უფლებათა. სასურველია ისიც, რომ მთავრობა ყურადღებით მოეპყრობოდეს იმ ძველ პროექტს, რომლითაც რკინის გზა მოკლე ვაკე ძირულის წყლის პირით უნდა გადასულიყო ძირულიდან პირდაპირ სურამ-ხაშურზე. როგორც გადმოგვცემენ იყო ორი პროექტი: ერთი ძირულით ამაშუკეთზე სურამამდე და მეორე ვარვარინო წიფით ხაშურამდე პირველი პროექტით გზას უნდა გაევლო შუა ზვარზე, სადაც გაშენებული იყო თავადი ივანე აბაშიძის სასახლე და მამული. მას არ მოინდომებია მისი მამულის დასახიჩრება და ხელიც შეუშალა თავისი გავლენით. წიფისკენ მცხოვრებ თავადებს პირიქით ხარჯიც გაუწევიათ და გაუმართავთ რკინის გზა ბელაგორ, ვარვარინო, წიფაზე, სადაც დიდი გვირაბის გაყვანაზე ძველ მთავრობას მილიონები აქვს დახარჯული. თუ ზემო ჩამოთვლილ სოფლების მადნეულობათა და სხვა სიმდიდრეთ მივიღებთ მხედველობაში, აგრეთვე მიმომსვლელთაგან შემოსულ თანხასაც, დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობას გაუადვილდება ამ საქმის მოგვარება თვით ხალხის დახმარებით და კონცესიითაც ადვილათ შეუძლია გასცეს შესაფერის პიროვნებებზე სრული იმედი აქვს იქაურ ხალხს იმისა, რომ მთავრობა ამ საკითხის გამოსარკვევათ დანიშნავს სპეციალისტა კომისსიას და შესაფერ ზომებსაც მიიღებს, რათა ხალხი იხსნას შორეულ მანძილზე ფეხით სიარულისგან და ურკინისგზობით გამოწვეულ ათასგვარ გაჭირვებისგან.

ზ. ჩ—ძე.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნ რედაქტორო

28 მარიამობისთვეს, ს. ბეინევში, ადგილობრივ კომისრის თანდასწრებით, ამა სოფლის ოთხმოცზე მეტმა მცხოვრებლებმა მოისმინეს სად დარკვეთში უფროსად ნამყოფ ბ. ირაკლი ბესარიონის ძის ჯავოშვილის გაზ. „საქართველოს რედაქციისადმი წერილის შინაარსი, ითათბირეს მის შესახებ და ერთხმად გამოიტანეს შემდეგი რეზოლუცია: „ბ. ი. ჯავოშვილი [illegible] თში უფროსად მყოფობის დროს არავისათვის, აქ დამსწრე პირთათვის, არც ერთხელ არ უთხოვნია რაიმე ქრთამი, არც არავისგან მიუღია ასეთი არც გაგვიგონია ვინმესაგან აღოს, თუმცა ჩვენ ათი წლის განმავლობაში არა ერთხელ და ორჯერ გაგვიზავნია სხვა და სხვა ქრთამით ს. დარკვეთიდგან. საზოგადოდ, ბ. ირაკლი ჯავოშვილს ჩვენ ვიცნობთ, როგორც პატიოსანს, უანგაროს, თავდადებულს, ყველასი პატივსმცემელს, დაუზარელს და მუყაით რკინის გზის მოსამსახურეს. ამისთვის მისი დათხოვნა სამსახურიდან ვითომც მექრთამეობისათვის ჩვენ მიგვაჩნია ნაყოფად პირადი მტრობისა და შურისა ჩვენ ყველა ვსწუხვართ ბ. ჯავოშვილის არე დაუმსახრებლად დასჯისა გამო და ვიმედოვნებთ, რომ მას არ მოესპობა საშვალება თავის დაცვისა და გამართლების რათა იგი ისევ დაუბრუნდეს თავის შეჩვეულ და სასარგებლო სამსახურს.

კრების თავმჯდომარე: ვასილ დიმიტრისძე აბდუშელიშვილი
მდივანი: ლევან აბდუშელიშვილი.

## მიმოსვლა
## სახალხო მატარებლებისა
## ს. ს. რკ. გზ.

გადის თბილისიდან.

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | სად. | 8 ს. 7 წ. |
| ბათომში | № 5 | სად. | 5 ს. 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. 30 წ. |

მოდის თბილისში

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. — |
| ფოთიდან | № 4 | სად | 8 ს. 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. 06 წ. |

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

| | | |
|---|---|---|
| № 8 | საღამოს | 6 ს. 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. 32 წ. |
| № 4 | საღამოს | 9 ს. 50 წ. |

მოდის სალოღლიდან.

| | | |
|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. 52 წ. |

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

| | | |
|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. 40 წ. |
| № 61 | დილის | 7 ს. 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. 26 წ. |

მოდის:

| | | |
|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. 24 წ. |
| № 64 | სად. | 8 ს. 4 წ. |

თბილისი-ხაშური.

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3. ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო (ისწრაფულ) გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63 64 იმოძრავებენ თბილისსა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.


## საექიმო კაბინეთი
## ექ. კ. ტუშმალიშვილისა

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

## გ. გ. მუხრანბატონი

შინაგანი ავადმყოფობა, ელექტრიზაცია გულისა. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენიადი და სხვების [illegible] კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, [illegible] უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

ხამკურნალო კაბინეტი გაიხსნა [illegible]

[illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914 და 606 შეშხაპუნება), ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 115, სასტუმრო „ბოდის პირდაპირ“ ტელეფონი 14—28.


სამ ხელო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3